PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“

საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ხათუნა მაისაია

(ქალაქი გორი, 2020 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის MES 8 20 00333549 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

- დირექტორთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან (საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურების, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების საკითხებზე) გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია“ პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანონ საგანმნათლებლო სტანდარტის ჩანაწერთან (1.1) - რეკომენდაცია გათვალისწინებულია;

- რეკომენდაცია მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, მათთან დადონ ხელშეკრულებები, რომელშიც მითითებული იქნება პრაქტიკის ობიექტზე დასადასტურებელი მოდულების სწავლის შედეგები, საჭირო მატერიალური რესურსი და ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (1.1) - რეკომენდაცია გათვალისწინებულია;

- რეკომენდაცია მიეცათ, გაასწორონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა, მოდულზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით (1.1) - რეკომენდაცია გათვალისწინებულია;

დაწესებულების წარმომადგენელან გასაუბრები დგინდება, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა ექსპერტთა ვიზიტის დასრულებისთანავე და შესაბამისი მასალები გაგზავნილ იქნა არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

რეკომენდირებულია გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქცია, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

- საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სპეციალურ ჩანაწერებს კლინიკასა და დაწესებულებას შორის დასარეგულირებელი საკითხების, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია განაახლოს გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1.2 პუნქტის ჩანაწერი ,,უზრუნველყოს დამკვეთის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებით შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით, რომელთა შერჩევა განხორციელდება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნას ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერის შესაბამისად, თუმცა არასრულყოფილად, რეკომენდირებულია დაწესებულებამ ზუსტად გადმოიტანოს ჩარჩო დოკუმენტიდან ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნები და შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

- დაწესებულების მიერ შემუშავებული პროცედურების საფუძველზე ჩატარდა ანალიზი განსაზღვრული ვადების მიხედვით, დაშვების წინაპირობების დაცვით, რამდენად შეუძლია პროფესიულ სტუდენტს არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში გაასაჩივროს შედეგები და დაელოდოს გასაჩივრების შედეგებს, ისე რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ მოდულზე (რომლის წინაპირობას არის მოდული, რომლის შედეგებიც გაასაჩივრა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დადგენილ ვადაში დასწრება) ანალიზმა აჩვენა შემდეგი: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა პროფესიულ სტუდენტს ეცნობება სამი სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს, სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროცედურის დაცვით და საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს, დღეების რაოდენობა გამოდის 7 სამუშაო დღე, თუმცა სასწავლო გეგმით რიგი მოდულების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთკვირიანი ვადა მიცემული, რომ სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა დააკმაყოფილოს, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოიყვანოს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთმანეთთან შესაბამისობაში, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტუდენტის ინტერესები.

- ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუ ნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით უნდა დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. ა/აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელში აღნიშნულ პროცედურას და მოიყვანოს შესაბამისობაში ახალ სტანდარტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	N74 04.09.2019; N89 20.09.2019; N5 20.02.2020.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის	ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო განხორციელების სწავლების ფორმა მოდულური 28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	პროფესიული სტუდენტი 09.09.2019; N167
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო განხორციელების სწავლების ფორმა მოდულური 56 პროფესიული სტუდენტი
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო განხორციელების სწავლების ფორმა მოდულური 84 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისიაა მოამზადოს ჯანდაცვის და ვეტერინარიის სფეროში კვალიფიციური და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც შიდა ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემას, პროფესიული სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N19 ბრძანები დამტკიცებულია სტრატეგიული (7 წლიანი) და სამოქმედო გეგმები, რომელთა ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება 2020 წელს გეგმავს საექთნო განათლების მოდულური პროგრამების ზღვრული რაოდენობის გაზრდას.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N21 დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მესამე მუხლი არეგულირებს მოდულური პროგრამის შემუშავების და შეფასების წესს, ჩანაწერების შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრის შემუშავება ხორციელდება ხარისხის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე. ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავების პროცესს; მოდულური პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამისი დარგისა და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები დაინტერესებულ მხარეები, პარტნიორი ორგანიზაციები, ადმინისტრაციის პერსონალი; მათ ფუნქცია მოვალეობას შეიმუშავებს და გააცნობს ხარისხის მენეჯერი პროგრამის შემუშავების დაწყებამდე 5 დღით ადრე; დასამტკიცებლად წარდგენილ მოდულური პროგრამის პროექტს, თან უნდა დაერთოს:

- პროგრამის ბიუჯეტი
- პარტნიორ ობიექტებთან დადებული მემორანდუმები.
- განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- იმ შემთხვევაში, თუკი პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორცილება დაგეგმილია სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება. მოდულები და სასწავლო გეგმა რომლებიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროგრამასთან ერთად; მოდულურ პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. მოდულურ პროგრამაში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თაობაზე.ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცალკე დანართის სახით,მოდულებში ან კომბინირებულად.დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პროგრამის მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის განხორციელების ადგილი. ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს თითოეული მოდულისათვის; მოდულურ პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე; პროგრამის მიზანშეწნილობის დასაბუთების ანალიზის მიხედვით საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 2012 წლიდან წარმატებით ახორციელებს საექთნო საქმის მიმართულებით პროგრამებს, როგორებიცაა: ექთნის თანაშემწის საგნობრივი და პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროფესიული პროგრამები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულების 82.56 %-ზე მეტი კვალიფიკაციის შესაბამისად არის დასაქმებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წელს, ბოლო მონაცემებით ქვეყანაში 17093 ექთანია და ეს არაა საკმარისი. ბევრ საავადმყოფოში, განსაკუთრებით იმ სამედიცინო რგოლებში, სადაც ექთნების დიდი რაოდენობაა საჭირო, საკადრო დეფიციტის გამო ექთნების დატვირთვა მაღალია. კოლეჯი 2012 წლიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს სხვადასხვა კლინიკებთან, როგორიცაა შპს გორმედი, სს „იავნანა“.გასულ წლებში შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ ხაშურსა და ქარელში გაიხსნა შპს „გორმედის“ფილიალები. დაემატა და გაფართოვდა განყოფილებების რაოდენობა. სს გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალითან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვაკანსიის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ კურსდამთავრებულებს. ყოველივე ზემო აღნიშნული, პროგრამის წარმატებით განხორციელების პირობას ქმნის. საექთნო განათლების პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 18 მარტის N26 ბრძანებები დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, საფუძველზე შემუშავებულია საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დასაბუთება, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული: პროგრამის განხორციელების სპეციფიკა; სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კვირეული საკონტაქტო დატვირთვა; A, B და C გარემოების გამტარუნარიანობა და 2 ცვლაში გამოყენების შესაძლებლობა; ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (რენტაბელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზღვრის გათვალისწინებითა 14 სტუდენტი) პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა. დაწესებულებას ავტორიზებულ პროგრამაზე განსაზღვრული ქონდა 28 პროფესიული სტუდენტის ადგილი და კვოტის გაზრდას გეგმავს 56 -ით, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 24 აქტიური პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილიმაერიალურ-ტექნიკური რესურსების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ასევე დისტანციური დათვალიერების შედეგებით იკვეთება, რომ პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, პრაქტიკის ხელშეკრულებები, მათ შორის მოდულებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის ხანგძლივობის გათვალისწინებით დაწესებულებას წელიწადში ორცვლიანი გრაფიკით შეუძლია მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი, სულ სამი წლის განმავლობაში 84 პროფესიული სტუდენტი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს;

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის დასახელება არ არის შეცვლილი და იდენტურია პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზებული პროგრამის დასახელებისა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი -სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა(იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 180 კრედიტი, იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 210 კრედიტი), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ვინაიდან საქმისწარმოება მიმდინარეობდა დისტანციურად, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარდა ონლაინ გასაუბრება:

დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს გააზრებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნები, დაწყებული აქვთ თვითშეფასების ანგარიშის გაკეთება, უკვე იდენტიფიცირებულია შესამუშავებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტაციის ჩამონათვალი, პასუხისმგებელი პირების და ვადების მითითებით. გადამოწმდა ასევე უკვე შემუშავებული წესების შესაბამისად დაწესებულების მუშაობის სტრატეგია და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცავს მათ;
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N 20 ბრძანებით განსაზღვრულია შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირების მიითებით, გარდა აღნიშნული დოკუმენტისა კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად არის მითითებული მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების გადამუშავება და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა თვითშეფასების ანგარიშის წარდგენამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- საექთნო განათლების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბიბლიოთეკის ფონდით http://www.amagi.edu.ge/biblio/home/index.php ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დებულებით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდებით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საექთნო განათლების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას 5 აუდიტორიაში, კერძოდ:

1. A გარემო #201 - 18 სტუდენტის ადგილი; 2. A გარემო #203 - 16 სტუდენტის ადგილი; 3. AC გარემო #103 - 16 სტუდენტის ადგილი;
4. A გარემო #104 - 16 სტუდენტის ადგილი; 5. B გარემო #109 - 20 სტუდენტის ადგილი.

პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო AC , რომლებიც სრულად არის აღჭურვილია შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

საექთნო განათლების პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების, მათი დანიშვნის აქტების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს შესაბამისი აქვს კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ ტრენინგები. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დასტურდება მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგებით (როგორც შიდა, ასე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული), ხარისხის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის და ხარისხის სამსახურთან ონლაინ გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით განხორციელებულია ასევე შემდეგი აქტივობები: პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო ვერიფიკაციის პილოტირების პროექტში, რომელიც ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კოლეჯში მხარდაჭერის ვიზიტით იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე მხარდაჭერის ექსპერტი რომელიც კოლეჯის პერსონალსა და პროგრამის განმახორციელებლებს, სადაც განხილულ იქნა კანონი პროფესიული განათლების შესახებ. ექსპერტი გაეცნო მიმდინარე პროცესებს, დაწესებულების თანამშრომლებმა მიიღეს რეკომენდაციები.კოლეჯის ორგანიზებით ურთიერთთანამშრომლობის ეგიდით გაიმართა შეხვედრა სს დედათა და ბავშვთა ცენტრ იანვნანას მედპერსონალთან. შეხვედრის ფარგლებში, მათ საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ ინფორმაცია პროფესიული პროგრამის საექთნო განათლების შესახებ. კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისათვის და პრაქტიკის ინსტრუქტორებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე- შეფასების სისტემა მოდულურ პროგრამებში. ტრენინგს უძღვებოდა ხარისხის მენეჯერი, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცეში დაიგეგმა არა ერთი შეხვედრა განმახოცრიელებელი მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. საექთნო განათლების პროგრამისთვის განსზღვრული განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაა **26** და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ნაწილი საკითხები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში/სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში, რაც კვირაში 40 საათს არ აღემატება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საქართველოს განათლების საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დებულებაში; პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში და გაუწიოს კოორდინირება ; მოახდინოს ორგანიზება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა საქმიანობის; გაუწიოს დახმარება სასწავლო გეგმების /ინდგეგმების შედგენაში; მუდმივად იზრუნოს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განვითარებაზე; იყოს ჩართული მონიტორინგის პროცესში სასწავლო კურსის პროგრამების - მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტუმენტების დროს; მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს სხვა შესაბამისი

სასწავლო პროცესში მიცემული დავალება დირექტორისა და ხარისხის მენეჯერის დავალების შესაბამისად;

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან განხორციელდა ინტერვიუ: პროგრამის ხელმძღვანელი მასწავლებლების ჩართულობით მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხორციელდება კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, მასწავლებლები პერიოდულად ესწრებიან ტრენინგებს და გამოთქვამენ მზაობას შემდგომი განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, დისტანციური საქმისწარმოებიდან გამომდინარე წიგნადი ფონდი გადამოწმდა ელექტრონულად ელ-ბიბლიოს მეშვეობით http://www.amagi.edu.ge/biblio/home/index.php, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე http://amagi.edu.ge/geo/rules;

კოლეჯის შენობა დათვალიერდა დისტანციურად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით: შენობა ადაპტირებულია იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას. ადაპტირებულია სველი წერტილები, მათ შორის ცალკე ქალბატონებისთვის და ცალკე მამაკაცებისთვის. შესაბამისად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 21 არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფას, რომლის ჩანაწერებით: კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზღუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი. კოლეჯის დაცვის წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაცვის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია სამედიცინო სამსახურის ორგანიზებით გამართოს კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით. კოლეჯს, მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლია დაადგინოს ამ წესისგან განსხვავებული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აუმჯობესებდეს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს საექთნო განათლების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების ბრძანება, თუმცა ბრძანების დანართად ატვირთული იყო ფარმაციის პროგრამის ბიუჯეტი , დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას(დასკანერების დროს დანართები აირია), შესაბამისად ონლაინ განხორციელდა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა და შესწავლა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, პროგრამიული უზრუნველყოფის, მივლინების, პრაქტიკული სწავლების, ადამიანური რესურსების გადამზადების, სტუდენური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების, იჯარის და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 14 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბიბლიოთეკის ფონდით ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის „პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“;
- კოლეჯის შინაგანაწესით;
- კოლეჯის დებულებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებები;
- დაწესებულების ვებგვერდით http://amagi.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება. სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება: საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო გარემო, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით. ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისდა ადმინისტრაციის სრული ჩართულობა, რომელიც მოიცავს სწავლების ხარისხის შეფასების ფორმებს. კერძოდ: განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებას; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას; ჯგუფის შეფასებას პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ; კურსდამთავრებულების გამოკითხვას; კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვას; კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს; პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართვას სასწავლო გეგმის შემუშავებაში; გარე ფაქტორების კვლევას. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://amagi.edu.ge განთავსებულია ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული ქმედებების ანალიზები, კერძოდ: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის მენეჯერის ანგარიში და რეკომენდაციები (2019); შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2017-2019 წლების დინამიკა; 2017-2018 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში; 2013-2018 სასწავლო წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობრივი კვლევის ანგარიში; საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის შეფასების კვლევის ანგარიში; პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2018 ანგარიში; ხარისხის მენეჯერის 2019 წლის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებამ 2019 წელს განხორციელდა ფართის ცვლილება რამაც ხასგასმით გააუმჯობესა გარემო პირობები. ახალ მისამართზე გაუმჯობებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სტანდარტის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განახლებულია კომპიუტერული ლაბორატორია; 2019 წელს ფართის ცვლილებამ ხანძარსაწინააღმდეგო და სათვალთვალო კამერების პრობლემა აღმოფხვრა. 2019 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგმამების დამატების მიზნით კოლეჯმა მოიზიდა კვალიფიციური კადრები, პროგრამების გასახორციელებლად დაიდო მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციებთან სამომავლოთ სტუდენტთა პრაქტიკისა და კურდამთავრებულთა დასაქმების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლებაზე, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პროფესიული სტუდენტების აზრით მოდულ ანატომია ფიზიოლოგიაში კვირაში 15 საათი მიუღებელია. მათი აზრით მასალის ახსნას სათანადოდ ახორციელებს პროფესიული მასწავებელი თუმცა მისი შესწავლა და გააზრება რთულდება მასალის მოცულობიდან გამომდინარე. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთა დარგის სპეციალისტებთან ერთად განხორციელდა განხილვა აღნიშნული საკითხების და 2019 წლის 23 დეკემბრის N 6 ბრძანების საფუძველძე საექთნო განათლების N 1 დანართში(სასწავლო გეგმა) შევიდა შესაბამისი ცვლილება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესების და პროცედურების დაცვით.

რეკომენდირებულია გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქცია, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანებით (№20, 13.03.2020წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესამუშავებელი და გადასამუშავებელი ცალკეული რეგულაციების ნუსხა და მათი შესრულების ვადები, რომელიც ითვალისწინებს სხვა გადასამუშავებელ დოკუმენტებთან ერთად კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქციის გადამუშავებას, აღნიშნული დოკუმენტების შესრულების ვადად განსაზღვრულია 29.05.2020 წ., ხოლო პასუხისმგებელი პირები არიან ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის იურისტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის მენეჯერის ანგარიში და რეკომენდაციები (2019);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2017-2019 წლების დინამიკა 2017-2018 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა;
- 2013-2018 სასწავლო წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობრივი კვლევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის შეფასების კვლევა;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2018;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ვეგ გვერდით http://amagi.edu.ge;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საექთნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტის ვვირეული დატვირთვა(არაუმეტეს 40 სთ), ხარისხის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის სამსახურთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დგინდება, კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცვლების გათვალისწინებით და რომ პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია.

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინდივიდუალურ საჭიროებად განხილული აქვს ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულებას გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს მოიცავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან:

1. ს.ს.ი.პ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალთან (06. 05. 2019 წ) - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების შეთანხმება N 1-ის მიხედვით (28.02.2020 წ) მე-2 პუნქტის მე-2.3 ქვეპუნქტით შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 56 პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:
   1) თეორიული სწავლება - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები;
   2) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   6) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
8) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
10) კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯნმრთელობა და ფსიქიატრია;
11) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

2. შპს გორმედთან“ (16. 05. 2019 წ) - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

3. სს ,,იავნანასთან“ (07.05.2019 წ) - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:
   1) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

4. ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (28. 05. 2019 წ) - ხელშეკრულება ძალაში შედის საექთნო განათლება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მოპოვებისთანავე და მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დაშვებას და სწავლებას საექთნო განათლება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების: გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, შინმოვლა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე. თითოეულ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს.

ექთნებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით: დასაქმებელი უფლებამოსილია: არ დატოვოს რეაგირების გარეშე პროფესიული სტუდენტების მხრიდან დაგვიანება გაცდენებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დისციპლინის დარღვევის და წახალისების ფაქტები. ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასტურდება ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი ექთნების პირადი საქმეებით, ინგლისური ენა A1 დონე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანება#16 11.04. 2019 წელი კოლეჯი ამაგის ინგლისური ენის სასერთიფიკაციო პროგრამის მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ. მსმენელებად ჩაირიცხენ პროგრამის საექთნო საქმის განმახორციელებელი ექთნები და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანება#41 14.06. 2019 წელი
კოლეჯი ამაგის ინგლისური ენის სასერთიფიკაციო პროგრამის მსმენელებზე სერთიფიკატების გაცემის შესახებ (კოლეჯის „ამაგი“ წესდების შესაბამისად). რაც შეეხება კომპიუტერული უნარებს - საოფისე პროგრამების კარგი ფლობა- გასაუბრებით დგინდება, რომ ექთნებისათვის, რომლებიც მუშაობენ კლინიკებში (უფროსი ექთნები - პროგრამის საექთნო საქმის განმახორციელებლები), სავალდებულოა საოფისე პროგრამების კარგი ფლობა, კლინიკებს სამსახურში მიღების წინაპირობად უდევთ.
ექსპერტების მიერ კლინიკების წარმომადგენლებთან განხორციელდა ონლაინ გასაუბრება: კლინიკის წარმომადგენლებმა დაადასტურეს მზაობა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე მიღების შესახებ, მათ აქვთ გამოცდილება მოდულური პროგრამების განხორციელების სპეციფიკის და არის მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიციური კადრების დასაქმებაზე.

ვინაიდან საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სპეციალურ ჩანაწერებს კლინიკასა და დაწესებულებას შორის დასარეგულირებელი საკითხების, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია განაახლოს გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1.3 პუნქტის ჩანაწერი ,,უზრუნველყოს დამკვეთის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებით შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით, რომელთა შერჩევა განხორციელდება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნას ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტის ჩანაწერის შესაბამისად, თუმცა არასრულყოფილად, რეკომენდირებულია დაწესებულებამ ზუსტად გადმოიტანოს ჩარჩო დოკუმენტიდან ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნები და შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან.

დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. დაწესებულების ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ახლად დამუხტული ცეცხლმაქრები, დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, გზის მანიშნებელი ნიშნულები. სამედიცინო დახმარებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ამავე შენობაში განთავსებულ სამედიცინო ცენტრთან, რომლის მიხედვითაც სამედიცინო ცენტის თანამშრომლები პასუხისმგებლები არიან საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარება აღმოუჩინონ კოლეჯის ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს და პროფესიულ სტუდენტებს.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შენობის როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო კონტროლის კამერები, შენობის შესასვლელში მორიგეობს დაცვის თანამშრომელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კალენდარული გეგმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- პრაქტიკის ხელშეკრულებებით;
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;
- საევაკუაციო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

2. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
4. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, ასევე განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით საკითხები: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ შეუძლია გასვლა; მოდულის განმახრციელებელმა პირმა/პროფესიული განათლების მასწავლებელმა შეფასების ინსტრუმენტი შეფასებამდე სასწავლო პროცესის მენეჯერთან უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმით. შეფასების პრინციპებია:

ა) ვალიდურობა - გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს შესაფასებელი სწავლის შედეგის რელევანტური და იძლეოდეს სწავლის შედეგის ყველა კრიტერიუმის შეფასების შესაძლებლობას;

ბ) სანდო - განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებული უნდა იყოს სათანადო მტკიცებულებებით;

გ) გამჭვირვალე - შეფასების პროცესის და დადასტურების პირობების და მოთხოვნების, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ უნდა იყოს ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

დ) სამართლიანი - შეფასების პროცესი ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები), შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ე) ობიექტური - ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად უნდა იყოს შეფასებული.

მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს. განმსაზღვრელ შეფასებაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა) პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაფასებელ პირს აცნობს ინდივიდუალურად შეფასების თარირიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო თუ მოდული, პროგრამის შემადგენელი რომელიმე სხვა მოდულის წინაპირობაა 3 სამუშაო დღის ვადაში; შეფასების თარიღამდე ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას განცხადების გამოკვრის გზით. ერთიდაიგივე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგის დაუდასტურებლობისას (2- ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოცემული მოდული. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს,რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება (მათ შორის განმეორებით გამოცდაზე/ებზე) პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერის და მოითხოვოს შედეგის დადსტურების/შეფასების გადასინჯვა. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას ხარისხის მენეჯრის , პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელიც არ იყო ჩართული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცეს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად; დაწესებულების მიერ შემუშავებული პროცედურების საფუძველზე ჩატარდა ანალიზი განსაზღვრული ვადების მიხედვით, დაშვების წინაპირობების დაცვით, რამდენად შეუძლია პროფესიულ სტუდენტს არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში გაასაჩივროს შედეგები და დაელოდოს გასაჩივრების შედეგებს, ისე რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ მოდულზე(რომლის წინაპირობას არის მოდული, რომლის შედეგებიც გაასაჩივრა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით დადგენილ ვადაში დასწრება) ანალიზმა აჩვენა შემდეგი: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა პროფესიულ სტუდენტს ეცნობება სამი სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს, სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროცედურის დაცვით და საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს, დღეების რაოდენობა გამოდის 7 სამუშაო დღე, თუმცა სასწავლო გეგმით რიგი მოდულების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთკვირიანი ვადა მიცემული, რომ სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა დააკმაყოფილოს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოიყვანოს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთმანეთთან შესაბამისობაში, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტუდენტის ინტერესები.

მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება მოდულის განმახორციელებელ პირთან.მოდულის დასრულების შემდეგ აღნიშნული მტკიცებულებები ჩაბარდება სასწავლო პროცესის მენეჯერს და შეინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება გაიტანოს პროფესიულმა სტუდენტმა მომართვის საფუძველზე; შემდეგ მტკიცებულებების განადგურება ნებადართულია.საბოლოო შეფასების უწყისები ივსება მოდულის დასრულებისთანავე ან სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შემდეგ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ და ბარდება სასწავლო პროცესის მენეჯერს; პროგრამის დასრულების შემდეგ უწყისები გადაეცემა საქმისწარმოების მენეჯერს დაარქივების მიზნით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის **მუხლი 17** აღწერს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესს, რომლის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრული პერიოდულობით ამოწმებს წარმოდგენილი დავალებები არის თუ არა ვალიდური სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმების შესაფასებლად. შეფასებისთვის განსაზღვრული დრო არის თუ არა ადეკვატური დავალების შესასრულებლად, ასევე განსაზღვრული სასწავლო გარემო და რესურსის არის თუ არა დავალებების შესაბამისი. ხარისხის მენეჯერი ამოწმებს ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირად არის თუ არა შეფასებული, შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული მტკიცებულებები სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. ასევე შეფასებებზე პერიოდული დასწრებით ამოწმებს შეფასების გარემო, საჭირო აღჭურვილობები და მასალები თანაბრად იყო თუ არა ხელმისაწვდომი ყველა შესაფასებელი პირისთვის. ხარისხის მენეჯერი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შეფასების ინსტრუმენტების პერიოდულ ვერიფიკაციას. ვერფიკაციის შედეგების შესახებ ანგარიშს ამზადებს ხარისხის მენეჯერი. ვერიფიკაციისთვის შეირჩევა შეფასების ინსტრუმენტები შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთის საფუძველზე:

ა) შეფასების ინსტრუმენტით დიდი რაოდენობის პროფესიული სტუდენტები შეფასდა;

ბ) შემფასებელ პირს არ აქვს მოდულურ პროგრამებზე სწავლების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება;

გ) შეფასებასთან დაკავშირებით შესაფასებელმა პირებმა გამოთქვეს უკმაყოფილება პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ ვალიდაციას აკეთებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედის:

ა) ხარისხის მენეჯერი;

ბ) დარგის სპეციალისტები (თითოეულ მიმართულებაზე 2 დარგის წარმომადგენელი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე;

ა) არის თუ არა გამართული შეფასების ინსტრუმენტი წესის შესაბამისად;

ბ)არის თუ არა სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;

გ) არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;

დ) არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუ ნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით უნდა დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა),ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. ა/აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელში აღნიშნულ პროცედურას და მოიყვანოს შესაბამისობაში ახალ სტანდარტებთან;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დებულებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ გაზრდილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი;

21.05.2020წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: